პიროვნული მახასიათებლების, შფოთვის და თვითეფექტურობის მიმართება პროფესიულ გადაწვასთან, ნეიროგანვითარების დარღვევის მქონე ბავშვებთან დასაქმებულ თერაპევტებში

ნანა ქარელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშავარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ქარელიშვილი

20.06.2024

აბსტრაქტი

ნეიროგანვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობა, საკმაოდ სტრესულია. სამუშაო მოითხოვს დიდ ენერგიას, ჩართულობას, მოთმინებას, ემოციების კონტროლს და სტაბილურობას. ამგვარი სამუშაო მოთხოვნებიდან გამომდინარე, თერაპევტები პროფესიული გადაწვის მაღალი რისკის ქვეშ არიან. სტრესული გარემო სამსახურში და იქ არსებულ ურთიერთობებში პირდაპირ კავშირშია პროდუქტულობასთან, ხარისხიანი მომსახურეობის გაწევასთან, მოტივაციასთან, შედეგების ეფექტურობასთან და სხვა. ამას გარდა, პროფესიული გადაწვის რისკების შემცირებაზე ზრუნვა დაკავშირებულია თერაპევტთა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, მათ კეთილდღეობასთან და ზოგად ცხოვრებით კმაყოფილებასთან.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა პიროვნული მახასიათებლების, შფოთვის და თვითეფექტურობის მიმართების დადგენას პროფესიულ გადაწვასთან, ნეიროგანვითარების დარღვევის მქონე ბავშვებთან დასაქმებულ თერაპევტებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-დან 60 წლის ასაკის (საშუალო ასაკი=31), 142-მა ქცევის, მეტყველების, ოკუპაციურმა თერაპევტმა, ასევე ადრეული განვითარების სპეციალისტმა და დენვერის თერაპევტმა.

შედეგების მიხედვით, რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ პროფესიული გადაწვის კომპონენტები: ემოციური გამოფიტვა, დეპერსონალიზაცია და პიროვნული მიღწევების შემცირება განსხვავებულად არის დაკავშირებული პრედიქტორულ ცვლადებთან.

პროფესიული გადაწვის პირველ კომპონენტს, ემოციურ გამოფიტვას, დადებითად წინასწარმეტყველებენ ცვლადები: შფოთვა და ახალი გამოცილებებისადმი ღიაობა. რაც ვლინდება დაღლილობით, ემოციური გადატვირთვით, ასევე მომსახურეობის მიმღებ პირებთან ნეგატიური დამოკიდებულებების გაღვივებით, რაც ამცირებს პიროვნულ მიღწევებს და თვითშეფასებას. რაც შეეხება თვითეფექტურობას, ის უარყოფითადაა დაკავშირებული ემოციურ გამოფიტვასთან ($F(3,138)=26.798$ $p<0.01$). შესაბამისად, ის თერაპევტები, რომელთაც სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების და არიან მიმართულები

პირადი კეთილდღეობის გაძლიერებისკენ, სამუშაოს შეასრულებენ ხარისხიანად, მოტივაციით და შედეგად ნაკლებად განუვითარდებათ პროფესიული გადაწვა.

დეპერსონალიზაციას დადებითად წინასწარმეტყველებენ შფოთვა, ახალი გამოცდილებებისადმი ღიაობა და ემოციურობა, ხოლო უარყოფითად - თვითეფექტურობა ($F(4,137)=19.976$ $p<0.01$). პროფესიული გადაწვის ბოლო კომპონენტს, პიროვნული მიღწევების შემცირებას კი, დადებითად წინასწარმეტყველებს თვითეფექტურობა, ხოლო ახალი გამოცდილებებისადმი ღიაობა უარყოფით დამოკიდებულებაშია მასთან ($F(2,129)=20.274$ $p<0.01$).

ამრიგად, კვლევისას მიღებული შედეგები ხაზს უსვამს პიროვნული მახასიათებლების, შფოთვის და თვითეფექტურობის კავშირს პროფესიულ გადაწვასთან.

საკვანძო სიტყვები: *თერაპევტები, სტრესი, პროფესიული გადაწვა, პიროვნული მახასიათებლები, შფოთვა, თვითეფექტურობა, ნეიროგანვითარების დარღვევები.*

Abstract

Working with children with neurodevelopmental disorders is highly stressful. The job demands high energy, engagement, patience, emotional control, and stability. Due to these job requirements, therapists are at high risk for professional burnout. A stressful work environment and its relationships are directly linked to productivity, quality of service, motivation, effectiveness of outcomes, and more. Additionally, addressing the risk of professional burnout is related to therapists' mental health, well-being, and overall life satisfaction.

This study aimed to determine the relationship between personality traits, anxiety, self-efficacy, and professional burnout among therapists working with children with neurodevelopmental disorders. It included 142 behavior, speech, and occupational therapists, early development specialists and Denver therapists aged 20 to 60 (mean age = 31).

According to the results, regression analysis showed that the components of professional burnout - emotional exhaustion, depersonalization, and reduced personal accomplishment, are differently related to predictor variables.

The first component of professional burnout, emotional exhaustion, is positively predicted by variables such as anxiety and openness to new experiences. This is manifested by fatigue, emotional overload, and negative attitudes towards clients, which decreases personal achievements and self-esteem. Regarding self-efficacy, it is negatively associated with emotional exhaustion ($F(3,138)=26.798$ $p<0.01$). Therefore, therapists who believe in their abilities and are oriented towards enhancing personal well-being will perform their work with quality and motivation. They are less likely to develop professional burnout.

Depersonalization is positively predicted by anxiety, openness to new experiences, and emotionality and negatively by self-efficacy ($F(4,137)=19.976$ $p<0.01$). The last component of professional burnout reduced personal accomplishment, is positively predicted by self-efficacy, while openness to new experiences is negatively associated with it ($F(2,129)=20.274$ $p<0.01$).

Accordingly, the findings highlight the importance of considering individual differences in personality traits, anxiety, and self-efficacy about professional burnout.

Key words: *Therapists, stress, proffecional burnout, personality traits, anxiety, self-efficacy, neurodevelopmental disorders.*

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაწეული დახმარებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ თინათინ ჭინჭარაულს.

ასევე მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილეობისთვის თითოეულ თერაპევტს, რომელთა ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფა.